პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | კვირა, 7 მარტი 1926 წ. | წელიწადი მეექვსე | ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

50 (1045) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელეფონი 2—24 | განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა.

### გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალების ბრძოლას მონობისაგან განთავისუფლებისათვის.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას

## ქალთა დღე—8 მარტი.

ხვალ საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი ქალები მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებსა და მუშათა კლასთან ერთად იდღესასწაულებენ თავიანთი სოლიდარობისა და ბრძოლის დღეს—8 მარტს. ამ დღეს მსოფლიოს ყველა კუთხეში გაიმართება მშრომელ ქალთა საპროტესტო დემონსტრაციები მსოფლიო მჩაგვრელების წინააღმდეგ, რომლის მთავარი მიზანია პროლეტარიატთან ხელიხელ ჩაკიდებული გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება ქალთა განთავისუფლებისათვის ყოველგვარ ჩაგვრა—მონობისაგან.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ქალთა მოძრაობის ისტორიას, დავინახავთ, რომ მშრომელ ქალებმა ჯერ კიდევ რამოდენიმე ათეული წლების წინად აღიმაღლეს ხმა ჩაგვრელების წინააღმდეგ, მუშათა კლასთან ერთად ჩაებენ ბურჟუა-კაპიტალისტების წინ აღმდეგ საერთო ბრძოლაში და გადაჭრით მოითხოვეს მათი უფლებების გათანასწორება მამაკაცებთან.

მშრომელ ქალთა მოძრაობამ თანდათან მასიური ხასიათი მიიღო. **1910** წელში ქ. კოპენჰაგენში მოწვეულ იქნა საერთაშორისო სოციალისტ ქალთა მეორე კონფერენცია, რომელზედაც საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ საკუთარ სადღესასწაულო დღეს—8 მარტს, რომლის ინიციატორად ითვლება კლარა ცეტკინი.

ხსენებული კონფერენციის შემდეგ, პირველ წლებში ამ დღესასწაულს ძლიერ ვიწრო ხასიათი ქონდა დასავლეთ ევროპაში. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ფართო ხასიათს იღებდა ის და ბოლოს გადაიქცა მშრომელ ქალთა ბრძოლის დღედ მთელს მსოფლიოში, ისე როგორც პირველი მაისი მუშათა კლასისათვის.

8 მარტი რუსეთში პირველად იდღესასწაულეს 1913 წელს ქ. ლენინგრადში. ქალთა მოძრაობას ამ ხანებშიდაც დიდი ნიადაგი ჰქონდა რუსეთში. მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშებსა და გლეხებთან ერთად იბრძოდენ მუშა და გლეხი ქალებიც, რომლებიც იმყოფებოდენ აუტანელ პირობებში და მოითხოვდენ მათი უფლებების გათანასწორებას მამაკაცებთან, არჩევნებში ხმის უფლების მინიჭებას, პოლიტიკური და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხ.

ასეთი ბრძოლის შედეგად რუსეთის მუშათა კლასთან ერთად მუშა და გლეხ ქალებმაც მოიპოვეს მონობისაგან განთავისუფლება. ოქტომბრის რევოლიუციამ და კომუნისტურმა პარტიამ სამუდამოდ გაანთავისუფლა ქალი ჩაგვრა—მონობისაგან, მიანიჭა მას ყველა ის უფლებები, რომლითაც სარგებლობს საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე და ჩააბა ის საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ასეთ გამარჯვებამდე დასავლეთ ევროპის და საერთოდ სხვა სახელმწიფოების მშრომელ ქალებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ. მაგრამ ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებს ამ ქვეყნებში კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით, მაჩვენებელია იმისა, რომ ქალთა საბოლოო განთავისუფლება კაპიტალის მონობის უღლისაგან სულ ახლო მომავლის საქმეა.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალები 8 მარტის დემონსტრაციების დროს ჯამს გაუკეთებენ მიღებულ მიღწევებს და ძმურ ხელს გაუწვდიან მსოფლიოს ყველა კუთხის მშრომელ ქალებს.

გაუმარჯოს 8 მარტს—ქალთა ბრძოლის საერთაშორისო დღეს, მონობისაგან განთავისუფლებისათვის.

გაუმარჯოს ამ ბრძოლის ხელმძღვანელს— კომუნისტურ პარტიას.

## დადგენილება № 11

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა

**იმ ქალთა ხვედრის შემსუბუქების შესახებ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს 1926 წ. მარტის 8-ის დღემდე.**

ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის მარტის 4-ს დადგენილების შესასრულებლად და საერთაშორისო ქალთა დღესასწაულის „მუშა ქალის მარტის 8 დღის“ აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ის ქალი, რომელსაც სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდა სასამართლოს განაჩენით ან ადმინისტრატიული ორგანოს დადგენილებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე 3, მე-5 (152 მუხლის გამოკლებით) მე-6 და მე-8 თავში გათვალისწინებული დანაშაულის გამო, უკეთუ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სოციალური დაცვის ღონისძიება და კანონით დაწესებულია ფულადი ჯარიმა,—იძულებითი მუშაობა ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა,—განთავისუფლებულ იქნეს სოციალური დაცვის ღონისძიების იმ ნაწილისაგან, რომელიც ჯერ არ მოუხდია.

შენიშვნა: 1-ლ მუხლში აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება: ა) სხვა და სხვა ქონებრივ გადახდევინებაზე, გარდა ფულადი ჯარიმისა, რაც გადაწყვეტილია სოციალური დაცვის ღონისძიების სახით. ბ) ფულად დაჯარიმებაზე, უკეთუ იგი მოყვანილია სისრულეში და გ) სისხ. სამართ. მიერ სამოქალაქო სარჩელის გამო გადაწყვეტილ გადახდევინებაზე.

2. მოსპობილ იქნეს წარმოებით ისეთი საქმე, რომლითაც ქალს ბრალდება წარედგინა სისხლ. სამართ. ან ადმინისტრატიულ წესისამებრ, ამა დადგენილების პირველ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უკეთუ ეს საქმე წინასწარი გამოძიების სტადიაშია ან განხილულია, ხოლო განაჩენი კი ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა.

3. განმანაწილებელ კომისიებს უფლება მიეცეთ ვადამდე გაანთავისუფლონ ის ქალი, რომელიც მშრომელთა წრეს ეკუთვნის იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მას არ მოუხდია იძულებითი მუშაობისა ან თავისუფლების აღკვეთის ნახევარი ვადაც, უკეთუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის გათვალისწინებული ამა დადგენილების პირველ მუხლში, (სისხლის სამართლის კოდ. 58—73, 76, 116, 146 მუხ. 176 მუხლის „გ“ პ., 187 და 191 მ. მ. გამოკლებით) და მისი ვადამდე პირობითი განთავისუფლება არ წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და საზოგადოებრივ წესრიგისათვის.

4. ყველა სხვა დანაშაულისათვის, რაც აღნიშნული არ არის 1-ლ მუხლში გარდა სისხ. სამ. კოდ. 58-73, 76, 116, 146 მუხ., 176 მ. „გ“ პ., 187 და 191 მუხლებში აღნიშნული დანაშაულისა სასამართლოს და სხვა სათანადო დაწესებულებას უფლება ეძლევათ საქმის განხილვის შემდეგ შეუმციროს ნახევრამდე თავისუფლების აღკვეთის ვადა მსჯავრდადებულ ქალს, რომელიც მშრომელთა წრეს ეკუთვნის, უკეთუ იგი სოციალურად საშიშარი არ არის და მისი მოქმედება საზოგადოებრივ წესრიგისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

5. მოკავშირე ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცეს სათანადო ამნისტიის აქტი ამა დადგენილების საფუძველზე, ხოლო აჭარის ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამა დადგენილების შეფარდების დროს შეავსონ იგი სათანადო მუხლებით ადგილობრივი პირობების მიხედვით.

6. იუსტიციის სახალხო კომისარმა ამა დადგენილების სისრულეში მოყვანისათვის შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია და თვალყური ადევნოს ამ დადგენილების განხორციელებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1926 წ. 6 მარტი.
ტფილისი—სასახლე.

## ახალი რადიო ამბები

### ამხ. სტალინის მისალმება საერთაშორისო ქალთა დღისადმი.

„მხურვალე სალამი სოციალისტური პროლეტარიატის ერთ შრომის ოჯახის გარშემო შემჭიდროებულ მთელი ქვეყნის მშრომელ ქალებს.

უსურვებ მათ სრულ წარმატებებს:

1) ყველა ქვეყნის მუშათა საერთაშორისო კავშირის განმტკიცებასა და პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების საქმეში.

2) მშრომელ ქალთა ჩამორჩენილ ფენების განთავისუფლების საქმეში ბურჟუაზიის მიერ სულიერ და ეკონომიურ დამონებისაგან.

3) გლეხი ქალების, რევოლიუციის ზელადის და სოციალისტური აღმშენებლობის ხელმძღვანელის—პროლეტარიატის გარშემო შემჭიდროებაში.

4) ვუსურვებ რათა გადაქცეულიყოს თავის მდგომარეობით ჯერ კიდევ უთანასწორო ჩაგრულთა მასების ნაწილები მ ბრძოლთა ერთ მთლიან არმიად ყოველგვარ უთანასწორობის მოსასპობად, ყოველგვარ ჩაგვრის აღ აგველად პროლეტარიატის გასამარჯვებლად, ჩვენ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ ქალთა დღეს!

სტალინი.“

### ერთა ლიგაში.

**განიარაღების კონფერენცია.**

შვეიცარიის პრესა იტყობინება, რომ ერთა ლიგის წრეებში უკვე მომწიფდა აზრი განიარაღების კონფერენციის შვეიცარიის გარეთ მოწვევის შესახებ, თუ საბჭოთა კავშირი არ დასთანხმდება შვეიცარიაში გასახსნელად განზრახულ კონფერენციაზე დელეგატების გაგზავნას.

**ინგლისი და ერთა ლიგა.**

ჩემბერლენმა თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ერთა ლიგის შემადგენლობის შესახებ და აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა ერთა ლიგის წევრთა რიცხვი არ განშორდეს პრაქტიკის მიერ ნაკარნახევ რაოდენობასო.

**ჩინეთიც მოითხოვს.**

ჩინეთის მთავრობამ შეიტანა განცხადება ერთა ლიგაში მისთვის ერთი მუდმივი ადგილის მინიჭების შესახებ ლიგის საბჭოში.

**ფრანგებს იმედი აქვთ.**

საფრანგეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს მსჯელობას ერთა ლიგის მომავალი სესიის შესახებ. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ საფრანგეთის ინტერესები სესიაზე ჰპოვებენ სათანადო პატივისცემას.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ.

რვა მარტი ქალთა საერთაშორისო დღეთ არის აღიარებული. ამ დღეს ქალთა ორგანიზაციები გამოდიან დემონსტრაციებზედ და ათვალიერებენ თავიანთ ძალებს. რასაკვირველია ასეთი სახის დემონსტრაციები ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, სადაც ქალთა უფლებები შეკვეცილია და თითქმის არარაობას წარმოადგენს.

რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებაში ქალთა მდგომარეობას, აქ სავსებით ქალთა და მამაკაცთა უფლება გათანასწორებულია.

არ არის არც ერთი კუთხე მთელ დედამიწის ზურგზე, სადაც ქალის უფლება გათანასწორებული იყოს მამაკაცთან. ჩვენში კი დღიდან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა ქალი ისეთი სრულუფლებიანი მოქალაქეა, როგორც მამაკაცი. ჩვენში ქალი მონაწილეობას ღებულობს ყოველივე სახელმწიფო საქმეებში და ინიშნება კიდეც მის ხელმძღვანელათ. ზოგიერთ შეუგნებელ მოქალაქეს ჯერაც ვერ წარმოუდგენია ქალის და კაცის ერთნაირი უფლებებით სარგებლობა, მას ქალი ყავს წარმოდგენილი, როგორც მამაკაცის მორჩილი და ხელქვეითი. ქალს თუ სახელმწიფო აღმშენებლობაში შეუძლია მონაწილეობის მიღება—მისთვის გაუგებრობას წარმოადგენს. დროა ასეთი შეხედულება ქალზედ დატოულათ უყოვყოთ და ძალაკაცები გვერდში ამოუდგენ ქალებს და მათთან ერთად ჩაებან საერთო საქმეებში სამუშაოთ.

აქვე ავღნიშნავ ამხ. ლენინის შეხედულებას ქალთა ორგანიზაციის საკითხში.

ამხ. ლენინი ამბობს: „საბჭოთა ხელისუფლება უფრო მეტად გაძლიერდება, როდესაც ქალთა ორგანიზაციაში ავამუშავებთ მილიონობით მუშა-გლეხ ქალებს“-ო.

მართლაც ქალის მონაწილეობის გარეშე არც ერთი სამეურნეო და საერთო საქმე არ გაკეთებულა და არც გაკეთდება. აქ ყველა კითხვების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ვინც დაინტერესდება ამ კითხვს გარკვევით ის უსათუოდ მივა იმ დასკვნამდი, რომ მართლაც ქალთა შრომის გამოყენება ზოგჯერ უფრო მაღლა სდგას მამაკაცის შრომაზედ. მე აქ მოკლეთ შევეხები ქალთა მოძრაობას რუსეთში, რომელიც წინ უძღოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციას.

ხანგრძლივ იმპერიალისტურმა ომმა მცხოვრებთა შორის გამოიწვია უკმაყოფილება. მთელი დღე რიგებში იდგა ხალხი სურსათის შესაძენათ და ზოგჯერ ხელ ცარიელი ბრუნდებოდენ უკან. ამ დროს ბურჟუაზია განცხრომაში იყო. მას რიგებში დგომა არ სჭირდებოდა, რადგან სურსათი მომარაგებული ქონდა. რიგებში მხოლოთ მუშა-ქალები და ბავშვები იდგენ. უკმაყოფილება იმდენათ გაიზარდა, რომ 18 თებერვლიდან (ძველი სტილით) რიგებში მდგომმა ქალებმა ხმა მაღლა დაიყვირეს „ქმრები დაგვიბრუნეთ ომიდან და პური მოგვეცით“-ო. ასეთ გამოძახილმა ლენინგრადის მთელ მუშათა მასაში ჰპოვა თანაგრძნობა.

სასურსათო მაღაზიები, სადაც ქალების რიგები იყო, მთელ მიტინგს წარმოადგენდა. ასეთ მიტინგებში ყველა უკმაყოფილო ელემენტები იღებდენ მონაწილეობას.

ამ დროს პოლიციამაც მიმართა რეპრესიებს, ამან სულ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ამ მოძრაობას, როგორც მახსოვს პირველათ ტრამვაის მუშებმა დაუჭირეს მხარი გაფიცვით, შემდეგ სხვა ფაბრიკა ქარხნების მუშებიც გამოეხმაურენ და თითქმის 22—23 თებერვალს (ძველი სტილით) მაშინდელ პეტროგრადში უკვე ბარიკადები და ხელ ჩართული ბრძოლა გაიმართა, და ბოლოს 27 თებერ. (12 მარტს) ნიკოლოზის მთავრობაც დაამხეს. ასე, რომ მართალია რევოლუციის მოსახდენი პირობები მომწიფებული იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი სიგნალი რევოლუციის დაწყებისა იყო ლენინგრადის ქალთა მასიური მოძრაობა. რის შედეგათ მივიღეთ თებერვლის რევოლუცია.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულზედ, ყოველთვის და მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მართალია ქალები და მამაკაცები ერთი უფლებით სარგებლობენ, მაგრამ მათი ეკონომიური და პოლიტიკური თვითშეგნება ბევრათ განსხვავდება მამაკაცებისაგან და ვეცადოთ, რომ ისეთი პირობები შევუქმნათ ქალებს, სადაც მათ შეეძლებათ ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გათანასწორდენ მამაკაცებს.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს!

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო განთავისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

ს. ლომიძე.

# ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ.

(დასასრული)

მთელ თბილისის გარნიზონში მხოლოდ რამდენსამე ნაწილში მზადდება სრულიად დამაკმაყოფილებლად ქაში, ეს იმიტომ რომ, არაა შემოღებული მისი ხარშვა ორთქლზე, როდესაც ქაში გამოდის უფრო გემრიელი და ფხვიერი.

წითელ-არმიელის კვებაში ნორმალური ულუფის მთლიანათ გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ზემოხსენებულ პირობებში, თუ ჩვენ დავიცავთ ყველა ამ პირობებს, წითელ არმიელის საჭმელი იქნება ძიზანშეწონილი, რითაც მივაღწევთ ჩვენს უმთავრეს მიზანს, ე. ი. ხელს შეუწყობთ წ. არმიელის ჯანმრთელობას, სხვა და სხვა გვარ ფიზიკურ გაჭირვების გადატანას და ბრძოლის უნარის გაძლიერებას, რაც წარმოადგენს ერთ უმთავრეს პირობათაგანს.

ნ. შანშიაშვილი.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲡᲘᲜᲯᲔᲑᲐ ᲨᲐᲨᲮᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲐ.

სწავლების ნორმალური გეგმა მოითხოვს, რათა სროლის დაწყების წინ გასინჯული იქნას შაშხანის მოხვედრის სიმარჯვეს იმიტომ, რომ შაშხანის პატრონმა იცოდეს თუ რა თვისებისაა მისი შაშხანა. ასეთი გასინჯვა აუცილებელია იმისთვის, რომ თავიდან აიშოროს სხვა და სხვა გვარი შეცდომა სროლის დროს და მასთან მეომარს იმედი ჰქონდეს თავის შაშხანის. ამიტომ საჭიროა თვითეულ მეომარმა ზეპ რად იცოდეს თავისი შაშხანა და განსაკუთრებით, მისი მოხვედრის თავისებურება, რათა სროლის დროს არ მოიმიზეზოს, რომ მისი შაშხანა მიდის მარჯვნივ ან მარცხნივ.

შაშხანის მოხვედრის გასინჯვის გარდა სროლის დაწყების წინ „წესები შაშხანის, ავტომატისა და ტყვიამფრქვევის მოხვედრის გასინჯვისა“ (1925 წლის ოფიციალური გამოცემა) ითვალისწინებს თვითეული შაშხანის მოხვედრის გასინჯვას ასეულში (ესკადრონში) იმ დროს, როცა ეს შაშხანები ურიგდება ნ წლებს საწყობიდან ან ქარხნიდან და იარაღის სახელოსნოში შეკეთების შემდეგ, ვინაიდან შეკეთების გამო შეიძლება შაშხანამ გამოიცვალოს მოხვედრა; ამის გარდა გასინჯვა უნდა ხდებოდეს ასეულის (ესკადრონის, გუნდის) უფროსის შეხედულებით ყოველთვის, როცა სროლის დროს აშკარად გამოირკვევა, რომ შაშხანა ფანტავს ან მიაქვს ტყვიები ერთი რომელიმე მიმართულებით.

რომ შაშხანის მოხვედრა გასინჯული იქნას, სროლის დაწყების წინ შაშხანის ლულა უნდა გამოამშრალო. ვაზნები წინასწარ უნდა დაათვალიერო, გასინჯო და შეარჩიო.

სროლას აწარმოებს ასეულის ერთ-ერთი საუკეთესო, გამოცდილი მსროლელი ასეულის უფროსის პირად მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით.

სანიშნო უნდა იყოს ფარისიმაღლით ერთი მეტრი და სიგანით—ნახევარი მეტრი.

გასინჯვა სწარმოებს დაზგიდან, რომელსაც აქვს შემდეგი მოწყობილობა. მაგარი სკამი, რამოდენიმედ შიგნით დაქანებულ მაგიდით, რომლის სახურავი გამოჭრილია მსროლელის მკერდისთვის, ხოლო გვერდებზე აქვს ფრთები ნიდაყვების დასაყრდნობად. მაგიდაზე დაიდება რბილი და აყრდნობი შაშხანისთვის სილიან ან ნახერხიანი ტომრისაგან.

მსროლელი ჯდება სკამზე, მოხერხებულად დაეყრდნობა მიწაზე ფეხებით და აყრდნობს შაშხანას დასაყრდნობზე ისე, რომ ეს დასაყრდნობი მოდიოდეს კოლას ქვეშ; შემდეგ ეყრდნობა ნიდაყვებით მაგიდას, მაგრად იჭერს თოფის დუმას მხარზე, უმიზნებს სწორად და აუჩქარებლივ გაისვრის ზედიზედ 4 ჯერ. ამის შემდეგ ათვალიერებენ სანიშნოს და სინჯავენ შაშხანის მოხვედრის სისწორეს.

ი. ბ.

# 8 ᲛᲐᲠᲢᲘ.

„საერთაშორისო ქალთა დღე უნდა გახდეს საშუალებად მუშა და გლეხ ქალთა გადაქცევისა მუშათა კლასის რეზერვიდან განმათავისუფლებელ მუშათა კლასის ნამდვილ არმიად“.

სტალინი.

არც ერთ რევოლუციას არ შეეძლო გაეკეთებია და არც გაუკეთებია ის, რაც გააკეთა პროლეტარულ რევოლუციამ ქალთა განთავისუფლებისათვის და არცერთ ხელისუფლებას, არცერთ დემოკრატიას არ გაუკეთებია ის, რაც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ ქალის მამაკაცთან გათანასწორების საქმეში.

მეხუთე 8 მარტის დღესასწაული საქართველოში—ეს არის გასინჯვა ქალთა მასების მოზრდი შეგნებისა და აღრიცხვა მათ მიერ წარმოებულ მუშაობის იმ ამოცანების ასრულებაში, რაც დაკისრებული ჰქონდა მათ კომუნისტური პარტიისა და ბოლშევიკური რევოლუციის მიერ.

ლენინმა სთქვა: „ქალის მონაწილეობა პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში გიგანტიურ მნიშვნელობას იძენს“.

აი სწორედ ამ მხრივ სწარმოებს მუშაობა საქართველოს მუშა-ქალთა შორის და მიმართულია იქით, რათა ჩაბმულ იქნას ქალი ახალი ცხოვრების აღმშენებლობის საქმეში.

მაგრამ როგორ უნდა იქნას ჩაბმული ამ აღშენებლობაში საუკუნეების განმავლობაში მონობის უღელ ქვეშ ნამყოფი ქალი? ქალი, რომელიც სოციალურ პირობების გამო ბევრად ჩამორჩა მამაკაცს, ცხოვრების ნამდვილ აღმშენებელს?

რასაკვირველია, პირველ ყოვლისა განსაკუთრებული მუშაობით ქალთა შორის.

მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის ძირიდათ ფორმას წარმოადგენს დელეგატთა კრებები, რომელთა შორის პარტიას თავის გავლენის ქვეშ ჰყავს მუშა და გლეხ-ქალთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

დელეგატ ქალთა რაოდენობა 1926 წლის განმავლობაში გაიზარდა 15.000-დი. ეს ციფრი მნიშვნელოვანია და ჩვენ შორის სდგას ამოცანა არა რიცხობრივ, არამედ ხარისხობრივ ზრდისა.

ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდთაგანი ქალთა შეგნების გამოღვიძებისა და მისი გათავისუფლების ოჯახურ ყოფა-ცხოვრებისაგან—ეს არის მათი ფართე მიზიდვა კოოპერაციაში.

განა შეიძლება ლაპარაკი ქალის გათავისუფლების შესახებ აკვნისა და სამზარეულოსაგან, თუ არ შეიქნა კოოპერატიული სასადილოები, ბავშვთა სახლები, საბავშო ბაღები და სხვა?

რასაკვირველია არა. საბჭოთა საქართველოს ქალს უნდა ახსოვდეს ეს. კოოპერაციაში ქალთა მონაწილეობა ჩვენში მეტად სუსტადაა განვითარებული და ამ მხრივ მთელი ღონისძიება უნდა იქნას მიმართული.

ქალთა შორის მუშაობაში დიდ ადგილი უჭირავს აგრეთვე მათ აქტიურად ჩაბმას პროფმუშაობაში. 1925 წლის ნოემბერში საქართველოს პროფკავშირთა წევრების რიცხვი სულ უდრიდა 22. 920 კაცს. თუმცა 1926 წლისთვის ჩვენ არა გვაქვს ციფრები, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ 1926 წელში ეს ციფრი თუ გაიზრდებოდა, თორემ არავითარ შემთხვევაში არ დაიკლებდა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობა პროფკავშირთა წევრებს შორის სუსტად სდგას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროფსაბჭო მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას და მომავალ 8 მარტის ყრილობაზე დასვამს საკითხს სპეციალურ მომუშავის გამოყოფის შესახებ პროფკავშირების მშრომელ-ქალთა შორის სამუშაოდ.

ქალთა შორის მუშაობას ძალიან აფერხებს საკითხი უმუშევრობის შესახებ. სრული გათავისუფლება მიღწეულ იქნება მხოლოდ ქალთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებით და რაც შეიძლება მეტი რიცხვის ჩაბმით წარმოებასა და შრომის სხვა და სხვა დარგებში.

1921 წლის 1-ლ იანვრისთვის უმუშევარ ქალთა რიცხვი საქართველოში უდრიდა 4 ათას 170-ს, რაც უმუშევართა მთელ რიცხვთან შეფარდებით უდრის 39 პროც.

ქალთა უმუშევრობის მოსასპობად ერთ-ერთი უმთავრესი ზომა—ეს არის ქალის შრომის კვალიფიკაციის ამაღლება. ამ საკითხის გადაჭრაში ვალდებულია და კიდეც უნდა მიიღოს მონაწილეობა შრომის სახალხო კომისარიატმა, რომლის წინაშე სდგას სპეციალურ კურსების გახსნის ამოცანა უმუშევართა შორის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. დიდი მუშაობა უძევს წინ ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიას. ეს კომისია არსებობს საქართველოს ცაკთან 1923 წლიდან და მუშაობს ცაკის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. მიუხედავად სახსარის სიმცირისა, კომისიამ საგრძნობი ნაბიჯი გადადგა წინ: მოწყობა დროებითი სამყოფი სახლის, ამხანაგობების და სახელოსნოებ.ს—ყველაფერი ეს არის კომისიის საქმე, რომელმაც მომავალში უნდა განავითაროს ამ ორგანიზაციების ქსელი და მოაწყოს ახალი, რომელიც საშუალებას მისცემს მშრომელ ქალს მართლაც გათავისუფლდეს აკვნისა და სამზარეულოსაგან და მოახმაროს თავისი ძალა სხვა დარგში მუშაობას.

მაგრამ ამ ზემოჩამოთვლილ ამოცანათაგან რომელიც არ უნდა ავიღოთ ჩვენ, ყველგან და ყველაფერში საჭიროა განათლების კომისარიატის ცოცხალი და უშუალო მონაწილეობა.

არა ნაკლები როლი უნდა ითამაშოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, რომელიც ღებულობს მონაწილეობას ბავშვთა და დედათა დაცვის ორგანიზაციაში, ბავშვთა სახლის მოწყობაში და სხვა.

ქალთა შორის მუშაობის განსაკუთრებული მხარე—ეს არის მათი მიზიდვა პარტმუშაობაში. რაც შეეხება ამ საკითხს, უნდა აღვნიშნო ახალგაზრდა ქალთა დიდი ლტოლვა კომკავშირში, სადაც ქალთა რიცხვი გაიზარდა 2 პროც. წასულ წელთან შედარებით.

შედარებით ცუდათ სდგას საქმე პარტიაში ქალთა მიზიდვის საქმეში. საქართველოში პარტიის წევრებად და კანდიდატებად ითვლება სულ 1.009 ქალი, რაც შეადგენს კომუნისტების მთელი რაოდენობის 5,5 პროც-ს. უნდა აღნიშნოს, რომ ეს პროცენტი მეტად მცირეა და 8 მარტს ეს პროცენტი გადიდებულ უნდა იქნას პარტიაში უფრო ღირსეულ, აქტიურ და შეგნებულ მშრომელ ქალთა მიღებით.

პარტიის წევრ ქალთა რიგების შევსებით საქართველოს მუშა და გლეხი ქალები შესძლებენ დაუმტკიცონ თავიანთი მაგალითით სხვა ქვეყნების მუშა და გლეხ ქალებს, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიის, პროლეტარიატის გამარჯვების საშუალებით შესძლებს ქალი ნამდვილ გათავისუფლებას.

ამის შედეგი იქნება ის, რომ თანდათან დაცარიელდება მე-2 ინტერნაციონალის რიგები და კაპიტალისტურ ქვეყნების უფრო რევოლიუციონური ელემენტები ძლიერ ნაკადულად შეერთდება კომუნისტურ ინტერნაციონალს. კომუნისტური ინტერნაციონალი თავის მხრივ გააძლიერებს რევოლიუციის ძალებს, დაუახლოვებს მას გამარჯვებას.

ქალთა გათავისუფლებას საბჭოთა რუსეთში და მათი ფართე მასების ჩაბმას საბჭოთა ეროვნულ რესპუბლიკების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში დიდი გავლენა აქვს აღმოსავლეთის ქალის გამოფხიზლებაზე. დიდის თავგანწირულობ თ იბრძვიან ისინი საუკუნეების განმავლობაში შექმნილ დამყაყებულ ტრადიციებისა და ჩვეულებათა წინააღმდეგ.

„ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ იღვიძებენ აღმოსავლეთის ჩამორჩენილი და ჩაგრული მშრომელი ქალები“ — სთქვა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა 1921 წელში. ხოლო ეხლა, ხუთი წლის შემდეგ 1926 წელში ჩვენ მოწამენი ვართ, რომ გამოღვიძებული „ჩამორჩენილი და დაჩაგრული მასები“ ატარებენ თავიანთ გულში რევოლიუციონურ ენერგიის დაუშრეტელ წყაროს და თითქმის არაფრით ჩამოუვარდებიან ამ მხრივ აღმოსავლეთის მშრომელ ქალებს.

მივმართოთ ეს ძალა სწორ კალაპოტში, რათა მთელი ქვეყნის მშრომელები შეურყევი გადაწყვეტილებით და ძლიერებით შეუერთდენ მუშათა კლასის რიგებს მსოფლიო კაპიტალის დასამხობათ—აი ჩვენი საბოლოო ამოცანა.

ჯაფარიძე.

# ჩვენს ტერ-ნაწილებში.

## ერთ დღიანი შეკრება იშვიათი აღფრთოვანებით ჩატარდა.

4-ხე ლეგ. ტყვიამფრქვევი ასეული.

ჩვენმა ასეულმა არაჩვეულებრივი სიხალისით ჩაატარა ცვალებადელთა პირველი ერთდღიანი შეკრება. შესაკრებ ადგილად დანიშნული იყო სოფ. ქვემო ჭალა. ასეულის შემადგენლობა 25 თებერვალს დილით ადრე გაემგზავრა აღნიშნული ადგილისაკენ. დილის რვა საათისთვის უკვე თავი მოიყარეს ყველა ცვალებადელებმა. მოდიოდენ სიმღერით და წითელი დროშებით სხვა და სხვა სოფლებიდან. შეკრებამ პირდაპირ საზეიმო ხასიათი მიიღო. ამხანაგებთან მეცადინეობის დაწყების წინ გამოცხადდენ ადგილობრივი წვევამდელ წერტის ამხანაგები და გვთხოვეს, რომ ცვალებადელებთან ერთად ისინიც გვემეცადინებია, რაც ასედაც მოხდა. ცვალებადელებში იშვიათი განწყობილება იყო.

აქვე შეიკრიბა მთელი თემის საზოგადოება. მოვიდენ სამთავისის კომუნარები მწყობრად, ადგილობრივი პარტიული, ახკომკავშირელთა და საბჭოთა ორგანიზაციები. ყველა დიდი ინტერესით ადევნებდენ თვალს ცვალებადელთა მეცადინეობას.

სამწყობრო მეცადინეობის შემდეგ გაიხსნა საზეიმო მიტინგი. ილაპარაკეს მრავალმა ამხანაგებმა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყოფილ მენშევიკის გამოსვლამ, რომელიც მიესალმა საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავს და აღნიშნა ყველა ის მიღწევები ქვეყნის აღორძინების საქმეში, რომელსაც ადგილი აქვს მენშევიკების დროს განადგურებულ საქართველოში.

მიტინგი დიდი ოვაციებით და ინტერნაციონალის ჰიმნით დასრულდა, რის შემდეგ ადგილობრივ გლეხობასთან ერთად ჩატარებული იქნა მეცადინეობა სამხედრო კუთხეში, კუთხის მნიშვნელობისა და მშრომელთა საყოველთაო შეიარაღების შესახებ.

შესდგა კომუჯრედის კრებაც. არჩეული იქნენ თემრწმუნებულები და სადამოთი კი მოეწყო ცვალებადელების საზეიმო გაცილება.

სამხკორი ალ. ნ—ლი.

# წვევამდელთა მზადება დამთავრდა.

2-ე საკავშირო ასეული.

19 თებერვალს თავშეყრილ წვევამდელებთან ასეულმა უკვე დაამთავრა მეცადინეობა. ასეულზე მიწერილი ახალგაზრდობა უკლებლივ გამოცხადდა დანიშნულ ადგილზე. აქედან ჩანდა, რომ დაუზარებლად მოსული ამხანაგები ერთგულად შეუდგებოდენ მეცადინეობას. მათ შეგნებული ჰქონდათ თავისი მოვალეობა და ეს ასედაც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მცირე დრო იყო ჩვენს განკარგულებაში მეცადინეობისათვის, მაინც ბევრი რამ შეიძინეს ამხანაგებმა, როგორც პოლიტიკურად ისე, სამხედრო დარგში. ეს აშკარად დაამტკიცა 5 მარტის გამოცდებმა. საგამოცდო კომისიამ გამოარკვია, რომ პროგრამა მთელი ასი პროცენტით არის გავლილი და ასეთივეა შეთვისებაც. არ ყოფილა დაკლებისა და დეზერტირობის ერთი შემთხვევაც კი.

წვევამდელთა ორმა მომზადებამ, რომელიც ჩატარებული იქნა ჩვენს მიერ, იმდენი გამოცდილებით დაგვტვირთა და ისე მოამზადა ახალგაზრდობაში ამ საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულების აუცილებლობა, რომ სრული იმედია მომავალში უფრო ნაყოფიერად ჩავატარებთ ამ საქმეს.

ინსტრ. გ. ჭელიძე.

# მეცადინეობა ნაყოფიერად ჩატარდა.

ზუგდიდის წვევამდელთა წერტი.

1904 წ. დაბადებულ წვევამდელებთან მეცადინეობის დროს ბევრად უფრო ცუდ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, ვიდრე ამ ჟამად. იმ დროს ადგილობრივმა სამხედრო კომისარიატმა ვერ შესძლო სათანადო ხელის შეწყობა სხვა და სხვა მიზეზების გამო, მაგრამ წარსულის გაკვეთილები მშვენივრად იქნა გამოყენებული 1905 წელში დაბადებულ წვევამდელებთან მეცადინეობაში.

ეხლა ჩვენს წერტზე მიწერილი იქნა 87 კაცამდე, რომლებიც ყველანი გამოცხადდენ უკლებლივ. შეკეთებული იქნა შენობა წვევამდელთათვის. მოწესრიგდა კვების საქმეც. ყოველდღიურად 49 კაცისათვის მზადდებოდა სადილი წერტზე.

სამხედრო პოლიტიკური მეცადინეობა იშვიათი გულმოდგინეობით მიმდინარეობდა. მოწყობილი გვქონდა ლენინის და სამხედრო კუთხეები. სწარმოებდა სისტემატიურად საუბრები, ხმამაღალი კითხვა და სხვა. დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია. საერთოდ მეცადინეობა დიდი მიღწევებით და... მეცადინეობის მთელი დროის განმავლობაში წვევამდელები ფიცს იძლეოდენ, რომ წერტზე შეძენილ ცოდნას არ დაივიწყებენ, ხშირად მივლენ ნაწილში, გაიხსენებენ გავლილს და კიდევ უფრო გაალრმავებენ თავის ცოდნას.

სამხკორი წითელი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## მიბაძეთ 1-ლი ლეგიონის 4-ხე ასეულს.

აგერ რამოდენიმე თვე სრულდება მას შემდეგ რაც ჩვენი ასეულის წითელ არმიელები სისტემატიურად კოლექტიური სახით იწერენ გაზ. „წითელ-არმიელს“. ამხანაგები დიდათ არიან დაინტერესებული თავისი ასეულის სიავ-კარგით და სიხარულით ეგებებიან გაზეთის გამოწერის საქმეს. ასეთივე ერთგულად ეკიდებიან ამ საქმეს ასეულის მეთაურები. აღსანიშნავია განსაკუთრებით მწყობრის თავის ამხ. მაჭარაძის მუშაობა, რომელიც თაოსნობს გაზეთის გამოწერის საქმეს.

პირველად მან თავისი საკუთარი ფულით გამოუწერა ასეულის წითელ არმიელებს გაზეთი და მით აღძრა მათში გაზეთის კოლექტიურად გამოწერის საერთო სურვილი.

ამჟამად ლეგიონის ყველა ასეულები ჰბაძავენ 4 ხე ასეულს და იწერენ გაზ. „წითელ არმიელს“ კოლექტიურად. კარგი იქნება სხვა ლეგიონების ასეულებიც მიბაძავდენ 1-ლი ლეგიონის 4 ხე ასეულს.

სამხკორი ა. დეისაძე.

## ჩვენი სამხკორები ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ.

### ჩვენი მხედრული სალამი თანამებრძოლებს.

შრომის განთავისუფლებისათვის დიადი ბრძოლების ისტორიაში, ქალთა საერთაშორისო მოძრაობის დღეს—8 მარტს ბრწყინვალე ადგილი უკავია. ოქტომბრის რევოლიუციამ ძირბუდიანად შეარყია ძველი დახავსებული შეხედულება და ქალებსაც მიანიჭა თანასწორ უფლებიანობა. პირველად ყველაზე უფრო დაჩაგრულ ქვეყანაში ჩაეყარა ამ დიად საქმეს საფუძველი და მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მას მუშურ-გლეხური ქვეყნისათვის.

ჩვენი საბოლოო მიზნის, სოციალიზმის განხორციელების ბრძოლის საქმეში მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად გასწევენ ულელს მშრომელი ქალები. საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალებს კი უდიდესი მოვალეობა აწევთ—პროლეტარული რევოლიუციის ჩირაღდანი მათი დახმარებით უნდა ავანთოთ სხვა ქვეყნებში.

გვწამს წითელ არმიასთან ერთად ისინიც გაწევენ შესაფერ სამსახურს მომავალ განმათავისუფლებელ ბრძოლებში.

გაუმარჯოს მუშა ქალთა საერთაშორისო დღეს.

სამხკორი ა. ფეხმაშვილი.

### სალამი მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს.

ქალთა საკითხი მთელი ისტორიის სიგრძე-სიგანეზე იყო წამოჭრილი, მაგრამ გარდა მუშათა კლასისა, ის არავის გადაუჭრია სისწორით.

მუშათა კლასმა ქალთა განთავისუფლების საკითხი თავის უახლოეს პროგრამაში შეიტანა და ერთნაირი სიცხოველით იბრძოდა მისთვის.

როგორ უყურებდენ ამ საკითხს სხვები? მეცხრე საუკუნეში მომხდარ უწმინდეს მამათა მსოფლიო ყრილობამ შემდეგი აღიარა ამ საკითხის შესახებ: „ქალი ბოროტი ქმნილება, რომელსაც ატარებს ცოდვილი დედამიწა. ის მოვლენილია მხოლოდ ვნებათა ღელვის დაკმაყოფილებისათვის“.

ამ აზრს ადგა და იცავდენ მას შემდეგ მსოფლიოში ყველა გაბატონებული კლასები.

ასევე უყურებენ დღესაც ქალებს ყველა კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი კლასები.

მხოლოდ საბჭოთა კავშირში იქნა ეს საკითხი გადაჭრილი სისწორით, ოქტომბრის რევოლიუციამ დედაკაცს მიანიჭა ყოველგვარი უფლებები მამაკაცის თანაბრად და ჩააბა ის ქვეყნის ასაღორძინებლად წარმოებულ მუშაობაში.

სოციალიზმის განხორციელებისათვის მუშაობაში საბჭოთა კავშირის ქალები გვერდში უდგას მუშათა კლასს და დაანახვეს მთელ მსოფლიოს თუ რა შესძლებია მამაკაცთან ყოველგვარი უფლებებით გათანასწორებულ დედაკაცს.

გაუმარჯოს ქალთა განთავისუფლებას მთელ მსოფლიოში.

სამხკორი დ. ვაჩეიშვილი.

## ჩვენი კავშირი მთავარ სახელოსნოს მუშებთან.

6-ხე ლეგიონი.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩვენი ლეგიონის შემადგენლობა გაემგზავრა მთავარ სახელოსნოს დასათვალიერებლად. დავეწყვეთ ასეულებად და ისე მწყობრად გაუდექით გზას.

ჯერ კიდევ ადრე გვსურდა სახელოსნოების დათვალიერება და იქაურ მუშებთან დაკავშირება, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ შევსძელით.

მისვლისთანავე შემოგვეგებენ, როგორც ადგილობრივი ადმინისტრაციისა და პარტორგანიზაციის წარმომადგენლები, ისე მუშებიც. ეზოში გაიმართა მიტინგი და მივესალმეთ ერთმანეთს.

დიდი ყურადღება მიიპყრო პირდაპირ დაზგიდან მოსულ მუშის სიტყვამ, რომელმაც ხაზი გაუსვა წითელი არმიის მნიშვნელობას მუშურ-გლეხური სახელმწიფოსთვის და აღნიშნა, თუ რა როლს ასრულებს წითელი ჯარი ქვეყნის მოდონიერების საქმეში.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდენ მეთაურები და წითელ არმიელები.

მიტინგის შემდეგ დავიყავით ჯგუფ ბად და დავათვალიერეთ სახელოსნო. მუშები დაწვრილებით გვიხსნიდენ თითეული მანქანას, რომლებმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე.

გამოვემშვიდობეთ ამხანაგებს და მუსიკით მხიარულად გამოვეშურეთ ყაზარმებისაკენ.

სამხკორი ელზაშვილი.

## ჩვენი ნაწილების ლენინის კუთხეებში.

### ლენინის კუთხეები გამოცოცხლდენ.

ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონის ლენინის კუთხეები სრულიად ამართლებენ თავის დანიშნულებას. კუთხეებში თავმოყრილია საკმაოდ აქტიური წითელ არმიელები, რომლებიც გამუდმებით აწარმოებენ საუბრებს და სხვა სახის მუშაობას. კლუბი დიდ დახმარებას უწევს კუთხეებს პლაკატებით, ლოზუნგებით, წითელ არმიელთათვის საჭირო ლიტერატურით და სხვა საავიტაციო მასალებით.

განზრახულია ამ მოკლე მომავალში კუთხეებში პოლიტლატარიის მოწყობა, რომელსაც მოუთმენლად მოელიან ჩვენი წითელ არმიელები. ყველა კუთხეებში არსებობს კითხვა პასუხის რვეულები, რომლებსაც ხშირად ათვალიერებს სამხკომი და ეცნობა თუ რით არიან დაინტერესებული წითელ არმიელები.

ჟურნალ გაზეთებისა და წიგნების კითხვას ძლიერ ეტანებიან წითელ არმიელები. პირველი ესკადრონის ამხანაგებმა უკვე გამოიწერეს რამოდენიმე ცალი გაზ. „წითელი არმიელი.“ ასევე მოიქცევენ სხვა ნაწილებიც.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

### თავისუფალ დროს ლენინის კუთხეებში ვატარებთ.

2-რე არტლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში სულ სამი ლენინის კუთხეა, რომლებიც სათანადო სიმაღლეზე სდგანან თავისი დანიშნულებისათვის მუშაობაში. კუთხეებში ხშირად ტარდება პოლიტსაუბრები. წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ შეკითხვების სახით. სისტემატიურად ვღებულობთ ყოველგვარ ჟურნალებს, რომლებსაც ძლიერ ეტანებიან ყველა ამხანაგები. ერთ წუთს არ აცდენენ ტყვილა. ყველა იყრიან თავს კუთხეებში და გულმოდგინეთ კითხულობენ.

ხშირად ტარდება კუთხეებში საუბრები დისციპლინის შესახებ.

სამხკორი არუთინოვი.

## კედლის გაზეთი გამოცოცხლდა.

მე 4 ლეგ მე 9. ასეული.

სამ თვეზე მეტია რაც ასეულში სისტემატიურად გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიდაც უახლოეს მონაწილეობას ღებულობენ ნაწილის წითელარმიელები. რედკოლეგია კარგ ხელმძღვანელობას უწევს გაზეთს. აღსანიშნავია გაზეთის მარტის ნომერი, როგორც თვისი შინაარსით ისე მხატვრული მხრივაც.

გაზეთში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ადგილობრივი ცვალებადელები, უფ-პოლიტშემადგენლობა და სამაზრო უჯრედის წევრები. ასეთი მჭიდრო კავშირი პარტ და საბჭოთა ორგანიზაციებთან კიდევ მეტ საინტერესოს მოგვიტანს მომავალში. კარგი იქნება თუ გაზეთის გამოცემას მოაწყობენ ორკვირაში ერთხელ. საამისო საშვალებითა და ძალებით ამჟამად უზრუნველყოფილი ვართ.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## მოვაწყვეთ სპეცკუთხე.

2-რე ლეგ. საკავშირო გუნდი

აღნიშნულ გუნდში მოეწყო საკავშირო საქმის სპეც-კუთხე, რომელიც მეტად ლამაზია თავისი გარეგნული სახით. კუთხეში გვაქვს ყველა ტიპის აპარატები, სატელეგრაფო საქმეები და საერთო რელიეფის მოდელი.

რელიეფზე გაყვანილია სატელეგრაფო და სატელეფონო მავთული, ელექტრონის დენის გამტარები და სხვა. ხშირად მოდიან სხვა ასეულებიდან ამხანაგები და ეცნობიან დაწვრილებით კავშირგაბმულობის საქმეს და მის მნიშვნელობას მომავალ ომებისათვის. გუნდის წითელ არმიელები ძლიერ კმაყოფილი არიან კუთხით. მადლობას უცხადებთ კავშირის უფროსს და ათის თავებს, რომლებმაც ითავეს მისი მოწყობა.

წ. არმ. უჩხოშელი.

# დადგენილება № 12
## სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
### ქალთა უფლება ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. სექტემბრის 5-ს თარიღითა და 396/12 ნომრით გამოცემული ცირკულიარის შესასრულებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიიღოს ღონისძიება გლეხ-ქალთა უფლებების უზრუნველსაყოფად მიწათმოწყობის განხორციელების დროს და კერძოდ, დაუტოვოს ხოლმე მიწა, კომლის გაყრის წესისამებრ, ქმართან გაყრილ გლეხ-ქალს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში უკეთუ მას შვილები ჰყავს.

2. შრომის სახალხო კომისარიატმა გადასინჯოს კანონმდებლობა ქალის შრომის შესახებ იმ მიზნით, რომ ეს შრომა უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული წარმოების ისეთ დარგებში, სადაც იგი დღემდე ნაკლებ ან სრულიად არ იყო გამოყენებული,

3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა და სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააფართოონ მუშაობა მშრომელი ქალის საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში ჩასაბმელად და სისტემატიურად მიანდონ ხოლმე უფრო საპასუხისმგებლო სამუშაო ისეთ ქალებს, რომელნიც საკმაო აქტივობასა და ნიჭს გამოიჩენენ.

4. დაევალოს სახალხო კომისარიატებს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ყოველწლიური ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს შეიტანონ ამ ხარჯთ აღრიცხვაში საჭირო თანხა ქალთა კლუბებისა, კუთხეებისა, ბაგებისა, საბავშვო ბაღებისა, საბავშვო მოედნებისა, საბებიო პუნქტებისა, კონსულტაციებისა და აგრეთვე წარმოებითი და სასოფლო-სამეურნეო არტელების შესანახად.

5. განათლების სახალხო კომისარიატმა, ქალთა კვალიფიკაციური მუშა ძალის შესაქმნელად, მიიღოს საჭირო ღონისძიება, რათა მუშა-ქალებისათვის განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისათვის, უზრუნველყოფილ იქნეს ადგილები პროფესიონალურ-ტეხნიკურ სკოლებში, სპეციალურ ტეხნიკუმებში და საქარხნო საფაბრიკო სკოლებში.

6. სათანადო სახალხო კომისარიატებმა გამოსცენ ინსტრუქციები ამ დადგენილების განსახორციელებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
**ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
**ს. თოდრია.**

1926 წ. მარტის 6
თბილისი—სასახლე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება
## მე-2 საარტილერიო ტერ-ლეგიონის 1-ლ მსუბუქ დივიზიონის კომუჯრედის მუშაობა.

დივიზიონი საბანაკო პერიოდის დამთავრების შემდეგ გამოეყო ლეგიონს, რის შემდეგ დივიზიონში დარჩა პარტიულების მცირე რიცხვი და ამით კი უჯრედის დაარსება შეუძლებელი იყო. მაგრამ პოლიტგანყოფილებიდან შესაფერი ამხანაგის მიმაგრების შემდეგ ჩამოვაყალიბეთ უჯრედი და შევუდექით მუშაობას.

უჯრედმა დაარსების დღიდან მოიწვია 4 ღია და სამი დახურული კრება, რომლებზედაც გარჩეული იქნა საყურადღებო საკითხები. უჯრედი მჭიდროთ დაუკავშირდა ქუთაისის რკინის გზის უჯრედს, რომლებიც გაერთიანებული ძალებით აწარმოებენ პარტიულ მუშაობას. უჯრედის მიერ რკინისგზელების კლუბში მოწყობილი იქნა სამხედრო კუთხე. თუმცა ჯერჯერობით ის ღარიბია, მაგრამ ვიმედოვნებთ მომავალში ამასაც გამოვასწორებთ.

უჯრედი ხელმძღვანელობას უწევს დივიზიონის ა. ლ. კ. კ. ჯგუფს და ეხმარება სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში.

ამ რამდენიმე ხნის წინად მოვაწყვეთ ექსკურსია ადგილობრივ საქსოვ ქარხანაში, სადაც წითელარმიელები და მეთაურები დაწვრილებით გაეცნენ ქარხნის მუშაობას და მის მიღწევებს.

უჯრედმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო წითელ არმიის 8 წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე კომპანიების ჩასატარებლად. სათანადო აქტივის უქონლობა დიდათ უშლის ხელს უჯრედის ნაყოფიერ მუშაობას, მაგრამ მაინც შევსძელით კედლის გაზეთის სისტემატიურად გამოშვება, რომელშიდაც შუქდება დივიზიონის ყოველ-დღიური ყოფა-ცხოვრება და მისი ნაკლი და მიღწევები.

ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა წრეები. უსურვებ ჩვენ უჯრედს გადალახოს ყოველივე დაბრკოლება და გაამართლებოს ჩვენი იმედები.

პარტკორი **ბოგლიჩიანი.**

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწვევ გაზეთ „წითელ არმიელს" ქ. ქუთაისის მაზრის საყულიის თემის ახ. ლ. კ. კ. უჯრედისათვის და ვიწვევ 1-ლ ლეგიონიდან შემდეგ ამხანაგებს: 1. ლეონიდე ბურჯანაძეს, 2. შალიკო კვინიკაძეს, 3, ალიოშა ქუთათელაძეს, 4. თედორე ზაქარიაშვილს, 5. ტარიელ თოდუას, 6. კალისტრატე მინდიაშვილს, 7 არტემა ფოლადიანცს, 8. ვასილ ეკიკიანცს, 9. მიტო ფავლენიშვილს, 10. ალექსანდრე ცომაიას, 11. თედორე ბეროზაშვილს, 12. ლავრენტი ნებიერიძეს, 13. მიხეილ გიორგაძეს, 14. ალექსანდრე კალაძეს, 15. მიშა ტაბიძეს, 16. პავლე ჯაფარიძეს, 17. პარმენ ლესელიძეს, 18. კირილე გელაშვილს, 19. მამასახლის 1-ლ ასეულისას პროკოფი ხელაძეს, 20. ირაკლი ჩოჩიას, 21. მე-4 ლეგიონის პოლიტხელს ამხ. დავით გუბელაძეს.

**ალექსანდრე დეისაძე.**

# ახალი ამბები.

— **ტფილისის** აღმასკომმა სამი თვის განმავლობაში დახარჯა ქალაქის კეთილმოწყობისათვის 155,118 მან.

— **ახალი ლიანდაგი.** ტრამვაის სამმართველოს გაყავს ტრამვაის ახალი ხაზი თავისუფლების მოედნიდან ფუნიკულიორამდე.

— **სამოს ხლო ადგილები.** უკანასკნელი 6 ხევარი წლის განმავლობაში ქალაქის აღმასკომმა დააკმაყოფილა 68 თხოვნა სახლების ასაშენებელი მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ.

— **დახმარება უმუშევრებს.** თებერვალში დამზღვევმა სალარომ უმუშევრებს დაურიგა დახმარების სახით 18.535 მან.

— **საქართველოში** არსებულ შრომის კოლექტივებში ამჟამად ითვლება 1726 უმუშევარი.

— **ქალაქის ბაღები.** ტფილისში ამჟამად არის 27 ბაღი, რომელთაც უჭირავთ 120 დესეტინა. გასულ წელს ბაღების შესანახათ დაიხარჯა 30 ათასი მანეთი.

**ხელოვნება.**

— **წითელარმიელთა** კლუბში 8 მარტს გაიმართება დიდი საღამო ქალთა დღესთან დაკავშირებით ტერსამმართველოს და ქ. მ. დივიზიის მოსამსახურეთათვის.

— **„ძინა-ძაძუ".** 25 მარტიდან ტფილისში უჩვენებენ ახალ კინო-სურათს სვანეთის ცხოვრებიდან „ძინა-ძაძუს".

— **„მზეთა მზე".** 11 მარტს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილ იქნება პირველი ქართული პანტომიმა „მზეთა-მზე".

# პასუხი შეკითხვებზე.

**ლაღიძეს.** დაშორებულ ადგილებში სამსახურისთვის 1923 წ. 1 იანვრიდან დაწყებული ყოველ ერთი წლის სამსახურის შესრულების შემდეგ ეძლევა დამატებითი ჯილდო ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით, სამი წლის—2 თვის. დაწვრილებით შეგიძლიათ გაეცნოთ რევსამხსაბჭოს ბრძანებებს № 1520 და 1521—24 წ. და საკავშირო ცაკის დადგენილება 29 მაისიდან 1925 წ.

**ა. მიშელაძეს.** თუ მეთაურის ალაგი გიკავიათ გეკუთვნით ტანისამოსი.

**ჩალ ძეს.** შვებულებაში უნდა გაგიშვან, თუ წარმოადგენთ სათანადო დამოწმებულ საბუთებს. რაც შეეხება ბავშვს თქვენი უფროსის საშუალებით ითხოვეთ მისი საბავშვო კერაში მოთავსება.

**კალამს.** მეთაურის თანამდებობაზე გამოცდების ჩაბარება არ შეიძლება, რადგან თქვენ უნდა გემსახურათ მწყობრში ერთი წელი. შეგიძლიათ ჩააბაროთ გამოცდები ადმინისტრ.—შემადგენლობაზე.

**შაშხანას.** წაიკითხეთ კალმის პასუხი.

**ტონიას.** შეგიძლიათ.

**მასურაშვილს.** ჯარში გაწვევის ერთი თვის განმავლობაში შეგეძლოთ რძის ფული მიგეღოთ დამზღვევ სალაროდან, შემდეგ არა.

**ცხაკაიას.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა, თქვენ პირველ რიგში უნდა მოგცენ სამსახური, სადაც ასეთი თავისუფალი იქნება, როგორც უვადო შვებულებაში წასულს.

**მი—შვილს.** ალაგი არ გენახებათ.

**ხვ—იას.** თუ საექიმო კომისიის მიერ ცნობილი ხართ საწყობრო სამსახურისთვის უვარგისად, მაშინ უნდა ჩააბაროთ გამოცდები საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე, თუ არა ოც მეთაურზე.

**არმიელს.** ლოგინის მოწყობილება თქვენს საკუთრებათ არ გადადის.

**დ ძეს.** ფეხსაცმელებს ნაწილში შეგიკეთებენ.

**გ. მ.** უნდა მიმართოდ უზრუნველყოფის განყოფილებას, რომ თქვენმა დედამ მიიღოს დახმარება.

**ზეფირს.** მაზარას ორი წლის ტარების ვადა აქვს და ჩექმებს ექვსი თვე.

**ივანოვს.** მოხალისეთა მიღება შეწყვეტილია.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

**ლეჩხუმი.**

**მექვენის** თემსაბჭოში აირჩიეს 39 წევრი. მათ შორის 8 კომუნისტი 3 კ. პ. კანდიდატი, 1 კომკავშირელი, 27 უპარტიო, არჩეულთაშორის 6 ქალია.

**ლენტეხის** თემსაბჭოში არჩეულ იქნა 20 წევრი. მათ შორის 1 კომუნისტი, 18 უპარტიო. აქედან 2 ქალია.

**გურია**

**ამაღლების** თემსაბჭოში არჩეულ იქნა 44 წევრი. მათ შორის 5 კომუნისტი, 5 კ. პ. კანდიდატი, 18 უპარტიო. არჩეულთა შორის 2 ქალია.

**ზემო ხეთის** თემსაბჭოში არჩეულ იქნა 17 წევრი. მათ შორის 6 კომუნისტია, 3 კანდიდატი, 1 კომკავშირელი 7 უპარტიო, აქედან 2 ქალი.

**ზუგდიდის მაზრა**

**დიდი ნეძ ს** თემსაბჭოში აირჩიეს 17 წევრი. მათ შორის 5 კომკავშირელი, 1 ქალი 11 უპარტიო.

**სენაკის მაზრა.**

**სუჯუნ ს** თემსაბჭოში აირჩიეს 63 წევრი. მათ შორის 15 კომუნისტი, 8 კ. პ. კანდიდატი, 5 კომკავშირელი, 35 უპარტიო, აქედან 2 ქალი.

**ნაესაკოვოს** თემსაბჭოში აირჩიეს 28 წევრი. მათ შორის 5 კომუნისტი, 2 კ. პ. კანდიდატი, 2 კომკავშირელი, 19 უპარტიო. აქედან 2 ქალია.

**სამხრეთ ოსეთი.**

**ახალგორის** თემსაბჭოში აირჩიეს 80 წევრი. მათ შორის 8 კომუნისტი, 4 კანდიდატი, 6 კომკავშირელი, 62 უპარტიო. არჩეულთა შორის 2 ქალია.

**მონასტერის** თემსაბჭოში აირჩიეს 69 წევრი. მათ შორის 2 კომუნისტი, 3 კანდიდატი, 4 კომკავშირელი, 55 უპარტიო აქედან 7 ქალია.

**ქემულთოს** თემსაბჭოში აირჩიეს 21 წევრი. მათ შორის 5 კომუნისტი, 1 კანდიდატი, 4 კომკავშირელი, 9 უპარტიო, აქედან 2 ქალია.

**შორაპნის მაზრა.**

**დილიკაურის** თემსაბჭოში აირჩიეს 27 წევრი. მათ შორის 1 კომუნისტი, 5 კანდიდატი, 2 კომკავშირელი, 18 უპარტიო, მათ შორის 4 ქალი.

**ბორჩალოს მაზრა.**

**კამკატალის** თემსაბჭოში არჩეულ იქნა 25 წევრი. მათ შორის 2 კომკავშირელი, 1 ქალი, დანარჩენი უპარტიო.

**გორის მაზრა.**

**კასპის** თემსაბჭოში აირჩიეს 18 წევრი. მათ შორის 3 კომუნისტი, 1 კ. პ. კანდიდატი, 2 კომკავშირელი, 12 უპარტიო. არჩეულთა შორის 3 ქალია.

**ძეგვის** თემსაბჭოში არჩეულ იქნა 39 წევრი. მათ შორის 2 კომუნისტი, 2 კანდიდატი, 6 კომკავშირელი, 29 უპარტიო, აქედან 6 ქალია.

**რაჭის მაზრა.**

**ამბროლაურის,** სხვავის, სადმელის, ზნაკვის, ცახის, ნიკორწმინდის, ხოტევის, ველევის და წესის თემსაბჭოებში არჩეულ იქნა 268 წევრი. მათ შორის 67 კომუნისტი, 29 კანდიდატი, 19 კომკავშირელი 153 უპარტიო, აქედან 25 ქალია.

**ქედისელის,** პატარა ონის და ღადიშის თემსაბჭოებში არჩეულ იქნა სულ 62 წევრი. მათ შორის 19 კომუნისტი, 5 კ. პ. კანდ. 7 კომკავშირელი უპარტიო. აქედან 6 ქალია.

დასახელებულ თემების არჩევნებში საშუალოდ მონაწილეობა მიიღო ამრჩევთა 56 პროცენტმა.

## წევამდელებო! მეცადინეობა უკვე დასრულდა. გააშუქეთ ჩვენს გაზეთში თუ როგორ დამთავრდა თქვენს წერტზე წვევამდელთა მზადება და როგორია მისი შედეგები.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქართული მსროლელი ლეგიონის მე-11 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტ-კანდიდატად მიღების შესახებ: 1. აბაშიძე ალექსი პავლეს ძეს, 2. ქვთარაძე სოლომონ ფოროს ძეს (უპარტიონი თელავის მაზრის სოფ. ზემო ალვანიდან), 3. ლატარია ვარლამი თადეოზის ძე (უპარტიო, ზუგდიდის მაზრის სოფ. ხეთადან).

თუ ვინმეს რაიმე იცით ზემოაღნიშნულ ამხანაგების საწინააღმდეგო, გთხოვთ აცნობოთ ზემო აღნიშნულ კომუჯრედის მდივანს ათი დღის განმავლობაში.

—

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის საკავშირო მწყობრის კომკავშირის ჯგუფში შემოტანილი აქვს განცხადება კომკავშირში წევრათ მიღების შესახებ ამხ. ვასილ ნესტორის ძე რატიანს (ქუთაისის მაზრა).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოაღნიშნულ ამხანაგის შესახებ. გთხოვთ გვაცნობოთ საკავშირო მწყობრის კომკავშირის ჯგუფში ერთი კვირის განმავლობაში.

საკავშირო მწყობრის ახ. ლ. კ. კ. ჯგუფის ორგანიზატორი **ს. მურვანიძე.**

**დაკარგა** ახკომკავშირის წევრობის წიგნაკი № 12101 წ. ამხ. გიორგი ჯიმშელეიშვილის სახელზე ხაშურის ახკომკავშირის რაიკომის მიერ გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.